



ს აქ არ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ გ ა რ გ უ ლ ე ბ ა

Nº 184

ქალაქი ქუთაისი

26

აპრილი

2023 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის
№177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი
პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული
კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით
გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი
საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8
დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში, კერძოდ, ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი
ობიექტების გეგმას დაემატოს №200 – №202 პუნქტებით თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)


მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო
სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი შენგელია



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის
№ 184 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფარ- თობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატი- ზებო საფა- სური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირ- ობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
200	არასასოფლო- სამეურნეო დაწიმულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნინოშვილის ქუჩა, №150-ის (ნაკვეთი №2) მიმდებარედ	125.00	03.04.31.739	190.00 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
201	არასასოფლო- სამეურნეო დაწიმულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, 9 აპრილის ქუჩა, I შესახვევი, №6ა/9 აპრილის ქუჩა, I შესახვევი, №6-ის მიმდებარედ	295.00	03.01.31.032	190.00 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
202	არასაცხოვ- რებელი ფართი (სარდაფი)	ქალაქი ქუთაისი, წმინდა ნინოს ქუჩა №9 (ყოფილი 1905 წლის რევოლუციის ქუჩა №11)	335.90	03.03.21.295.01.503	265 500.00	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი შენგელია

